5. დოქტორანტურაში მიღების პირობები

5.1. დოქტორანტურაში მიღება ცხადდება მხოლოდ აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სადოქტორო პროგრამის ფარგლებში.
5.2. დოქტორანტობის კანდიდატი წარმოადგენს განაცხადს და გადის გასაუბრებას დარგობრივ მიმღებ კომისისათან.
5.3. დოქტორანტურაში ჩარიცხვის პირობაა სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის ან სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელის თანხმობა.
5.4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ერთ-ერთი ევროპული სამეცნიერო ენის (ინგლისური, გერმანული ან ფრანგული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა (”უცხო ენის B2 დონეზე ცოდნის განმარტება, შესაბამისი სერთიფიკატებისა და ქულების ნუსხა” იხ.: დანართი 1)
5.5. დოქტორანტობის კანდიდატი, რომელსაც განათლება მიღებული არ აქვს ქართულ ენაზე და ქართულენოვან სადოქტორო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება, წარმოადგენს ქართული ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან ჩააბარებს გამოცდას ქართულ ენაში დადგენილი წესით.